

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 8 იანვარს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №5– 6(ექვსი) ფურცელი  
დასკვნა 4(ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

ვერიკო კვიციანი

ვერიკო კვიციანი

კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

სხდომის ოქმი №5

ლანჩხუთი

08.01.2018 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო  
კვიციანი.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე, კახაბერ ასკურავა.

აგრეთვე ესწრებოდა: მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი  
საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში – მაია კუპატაძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის  
უფროსი – თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიმ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის  
წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის  
პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების  
გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების  
შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის  
თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ  
ღონისძიებთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ.კვიციანი/

5. სხვადასხვა

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

დადგენილების პროექტი სხდომას გააგნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან კომისიის წევრებს პროექტის თანახმად წარმოადგინო 16 სოციალური პროგრამა გააგნო. ესენია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 100000 ლარი.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 32 400 ლარი;

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 45000 ლარი.

4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 51000 ლარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 5500 ლარი.

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 10000 ლარი.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 39 800 ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 10000 ლარი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 500000 ლარი

10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 30000 ლარი.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიზოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი - 30000 ლარი.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 1000 ლარი.

13. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 3000 ლარი;

14. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 52 100 ლარი;

15. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 35 000 ლარი;

16. შ.შ.მ. პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი - 4900 ლარი.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. მან ასევე განმარტა, რომ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მეორე პროგრამასთან დაკავშირებით კომისიის თავჯდომარემ შეკითხვით მიმართა სამსახურის უფროსს თამარ ფირცხალაიშვილს, თუ რამდენ შვილიანი ოჯახი ითვლებოდა მრავალშვილიანად და რა თანხით ეხმარებოდნენ მათ.

თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 25 ლარს.

პროგრამით ისარგებლებს მხოლოდ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. 2017 წლის მონაცემებით პროგრამით სარგებლობს 29 ოჯახი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული თანხა არის საკმაოდ მცირე და კარგი იქნებოდა სამომავლოდ თანხის ოდენობის გაზრდა.

მეხუთე პროგრამასთან დაკავშირებით ვერიკო კვიციანი აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია ბავშვების ტრანსპორტირება არამხოლოდ მაღალმთიანი სოფლებიდან ხდება არამედ სხვა სოფლებიდანაც და ეს კარგია, რადგან ტრანსპორტით გადაადგილება საკმაოდ პრობლემურია

რაც შეეხება მეექვსე პროგრამას, დეპუტატი კახა ასკურავა შემოვიდა ინიციატივით, რომ სასურველი იქნება მოხდეს ლესის ბავშვთა სახლის დახმარება, რაზეც სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ თუ კი მოგვმართავს ხელმძღვანელი შესაბამისი პროექტით შევისწავლით განცხადებას და შესაძლებლობის ფარგლებში გავითვალისწინებთ.

ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ გამოთქვა მომსახურება, რომ აღნიშნული თანხით შეძენილ იქნას აპარატი და გადაიზადებულ იქნას შესაბამისი პერსონალი, რაც დაზოგავს თანხებს და ასევე გაუადვილებს პაციენტებს აღნიშნული მომსახურების მიღებას. რასაც კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე. განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავმესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) ცენტრ „ივენანას“ თანადაფინანსების პროგრამა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

თ) იბულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.
- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.
- პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.
- ჟ) შ.შ.მ. პირის სტატუსის მქონე ზენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- ე) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;
- ვ) სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
- ზ) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- თ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ი) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- კ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ლ) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით, მას მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი ცალ-ცალკე მუხლში იყოს გაწერილი აღნიშნული საკითხი. მან ასევე აღნიშნა, რომ საკმაოდ მცირე თანხა გამოყოფილი ახალგაზრდების პროექტის თანადაფინანსებაზე. აღნიშნულ საკითხზე სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ხელმძღვანელობისგან არის დაპირება წლის განმავლობაში თანხის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. ვერიკო კვიციანი დაინტერესდა შ.შ.მ. პირებთან დაკავშირებული საკითხით და კითხვით მიმართა სამსახურის უფროსს გაკეთებულა თუ არა რაიმე მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის და ხაზი გაუსვა მის აუცილებლობას, რასაც კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა. თამარ ფირცხალაიშვილის თქმით, წლის განმავლობაში ტარდება კულტურული და სპორტული ღონისძიებები მათი მონაწილეობით.

დებუტატმა კახა ასკურავამ აღნიშნა, რომ უმჯობესია მოხდეს რამდენიმე პროგრამის გაერთიანება და განხორციელდეს ის პროგრამები, რომლებიც დაფინანსდება საკმარისი თანხით.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-4

წინააღმდეგი - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ვ. კვიციანი

ვერიკო კვიციანი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №1

ლანჩხუთი

08.01.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიამ დაადგინა, რომ დადგენილების პროექტი მიღებულ იქნას შენიშვნების გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარე: *ჯ. ავალიაძე*

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №2

ლანჩხუთი

08.01.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიამ დაადგინა, რომ განკარგულების პროექტი მიღებულ იქნას წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარე: *ვ. შარვაშიანი*

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №3

ლანჩხუთი

08.01.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. კომისიამ დაადგინა, რომ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით იქნას მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე: *ვ. ვაჩაძე*

ვერიკო ვერკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №4

ლანჩხუთი

08.01.2018 წელი




ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიამ დაადგინა, რომ განკარგულების პროექტი მიღებულ იქნას შენიშვნებზე გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარე: ვ. სვიტყვიანი ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

08.01.2018 წელი  
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვიციანი	11:30	
2	კახა ზოლქვაძე	11:50	
3	გოდერძი ქურიძე	11:50	
4	კახაბერ ასკურავა	12:00	